

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს ცენტრსა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის 2016 წლის 20 ივლისს ხელმოწერილი სტანდარტული შეთანხმების წერილით გათვალისწინებული პროექტის - „საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სისტემების გაფართოება და პროფესიული განათლების მოდერნიზაცია“ - მესამე კომპონენტის ფარგლებში **ექსპერტთა შერჩევის მიზნით**

კონკურსი ცხადდება **2016 წლის 10 ნოემბერს** და განცხადებების წარდგენის **ბოლო ვადა - 2016 წლის 14 ნოემბრამდე**.

კონკურსში მონაწილე კანდიდატმა წერილის სათაურის ველში აუცილებლად უნდა მიუთითოს ვაკანსიის დასახელება „ექსპერტი“, წინააღმდეგ შემთხვევაში არ მოხდება განაცხადის განხილვა.

ადგილების რაოდენობა - 2;

კონკურსის შედეგად, ექსპერტის თანამდებობაზე შეჩეულ პირებთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულებები **2016 წლის 25 დეკემბრის** ჩათვლით წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე;

შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის განმავლობაში ანაზღაურება შეადგენს **1794 ლარს**;

**ექსპერტის თანამდებობის მიმართ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:**

- ა) აკადემიური უმაღლესი განათლება - მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებულის აკადემიური ხარისხი;
- ბ) საგანმანათლებლო სფეროში, მათ შორის, პროფესიული განათლების სფეროში არანაკლებ 2 წლიანი მუშაობის გამოცდილება;
- გ) პროფესიული სტანდარტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების შემუშავების პროცესში მონაწილეობის გამოცდილება.

**ექსპერტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:**

1. სოფლის მეურნეობის მიმართულების პროფესიული სტანდარტების/შეფასების სტანდარტებისა და ჩარჩო დოკუმენტების შესწავლა - ანალიზი, კერძოდ:
  - ა) პროფესიული სტანდარტების, შეფასების სტანდარტებისა და ჩარჩო დოკუმენტების ანალიზი საერთაშორისო კონტექსტში (თითოეულ კვალიფიკაციაზე არანაკლებ ორი ქვეყნის პრაქტიკის მიმოხილვა);
  - ბ) არსებული კვალიფიკაციების მიმართების დადგენა, როგორც დასაქმების, ასევე განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორებთან (ISCO, ISCED).
2. დასაქმებისა და განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორების ანალიზის საფუძველზე მომზადებული მასალის სოფლის მეურნეობის დარგის სპეციალისტებთან (მეცნიერები, პრაქტიკოსი სპეციალისტები, ასოციაციები, პროფესიული განათლების მასწავლებლები და სხვ.) განხილვა, შესაბამისი უკუკავშირის მიღება და დოკუმენტირება.

**კონკურსში მონაწილე თითოეული კანდიდატი უნდა ფლობდეს ინფორმაციას შემდეგი დოკუმენტების შესახებ:**

- ა) საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“;
- ბ) „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის №120/ნ ბრძანება;
- გ) „პროფესიული სტანდარტის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტისა და მოდულის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2016 წლის 04 აგვისტოს №733 ბრძანება.
- დ) დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO);
- ე) განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCED);
- ვ) პროფესიული სტანდარტები;
- ზ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტები.

**კონკურსში მონაწილე კანდიდატმა ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე, [www.eqe.ge](http://www.eqe.ge), აუცილებლად უნდა ატვირთოს:**

- ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ბ) ავტობიოგრაფია - (C.V.) ქართულ ენაზე;
- გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

**კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად:**

- ა) განცხადებების გადარჩევა;
- ბ) გასაუბრება.